სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №27
2024 წლის 2 თებერვალი

ქ. თბილისი

ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემისა და პილოტის ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის, 9^1 მუხლის და 21^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №111 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი **გივი დავითაშვილი**

ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი ადგენს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის და ინსტრუქტორის მომზადების პროგრამებს, მათი ცოდნის შეფასების პირობებს, ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის და ზსხ-ის პილოტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების, კვალიფიკაციის მოქმედების ვადის გაგრძელების და ვადის განახლების მოთხოვნებს, ასევე განსაზღვრავს მოწმობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოყენების პირობებს. გარდა ამისა, ეს წესი განსაზღვრავს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებასთან, სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირებასთან და მომზადების პროგრამებთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და პირობებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

1. ამ წესში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ზსხ-ის საფრენოსნო ეკიპაჟის შემადგენლობა** (შემდგომში – საფრენოსნო ეკიპაჟის შემადგენლობა) – ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელების უფლებამოსილების მქონე მოწმობის მფლობელი პირები;

ბ) **ვადის გაგრძელება** – კვალიფიკაციის მოქმედების ვადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მოწმობის მფლობელს საშუალებას აძლევს, დადგენილი მოთხოვნების შესრულებით გააგრძელოს კვალიფიკაციით მინიჭებული უფლებების გამოყენება შემდგომი განსაზღვრული პერიოდით;

გ) **ვადის განახლება** – კვალიფიკაციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ სააგენტოს მიერ

გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, რომელიც დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, აახლებს შესაბამისი კვალიფიკაციით მინიჭებულ უფლებებს შემდგომი განსაზღვრული პერიოდით;

დ) **ზსხ-ის მეთაური** – საჰაერო ხომალდის ფრენისას, მის მართვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პილოტი;

ე) **ინსტრუქტორთან ერთად ფრენა** – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პილოტის (ინსტრუქტორობის კანდიდატი, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი) მიერ პილოტ-კურსანტის ან მოწმობის მფლობელი პირისთვის ჩატარებული საფრენოსნო მომზადება;

ვ) **კვალიფიკაცია** – მოწმობაში/ სერტიფიკატში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ამ დოკუმენტისთვის განსაზღვრავს სპეციალურ პირობებს, უფლებებს ან შეზღუდვებს;

ზ) **მგზავრი** – პირი, რომელიც იმყოფება ზსხ-ის ბორტზე ზსხ-ის მეთაურის თანხმობით, გარდა საფრენოსნო ეკიპაჟის შემადგენლობისა;

თ) **მოწმობა** – საჰაერო ხომალდის ბორტზე განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) **საფრენოსნო დრო** – საერთო დრო, აფრენის მიზნით ზსხ-ის მიერ მოძრაობის დაწყებიდან (შვეულმფრენისთვის: მზიდი ხრახნის ბრუნვის დაწყებიდან) ფრენის დასრულებისას მის სრულ გაჩერებამდე (შვეულმფრენისთვის: შვეულმფრენის სრულ გაჩერებამდე და მზიდი ხრახნის ბრუნვის შეჩერებამდე);

კ) **სერტიფიკატი** – დოკუმენტი, რომელიც მოწმობის მფლობელს განსაზღვრული ვადით ანიჭებს უფლებას ზსხ-ის ბორტზე შეასრულოს ამ დოკუმენტით მინიჭებული ფუნქციები;

ლ) **შეთანხმებული პროგრამა** – ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის თეორიული და პრაქტიკული სწავლების განმსაზღვრელი პროგრამა, რომელიც ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სდ-ის ფარგლებში;

მ) **უფლებამოსილი გამომცდელი** – სააგენტოს მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ შესაბამის თეორიულ და საფრენოსნო შემოწმებებს;

ნ) **უფლებამოსილი ინსტრუქტორი** – ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი, რომელიც ფლობს ამ წესით განსაზღვრულ შესაბამის კვალიფიკაციას სწავლების ჩატარების ან შემოწმების განხორციელების მიზნით;

ო) **პილოტ-კურსანტი** – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორის მიერ საფრენოსნო ეკიპაჟის შემადგენლობაში დაშვებული პირი, რომელიც გადის საფრენოსნო მომზადებას (ინსტრუქტორთან ერთად ან დამოუკიდებლად ფრენის შესრულებისას);

პ) **ზსხ-ის განსხვავებული მოდელი** – ერთ კლასს მიკუთვნებული ზსხ ან ზსხ-თა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია სხვაობები იმ ზსხ-თან მიმართებით, რომლის ექსპლუატაციასაც ახორციელებს ზსხ-ს პილოტი და საჭიროებს გაცნობით (Familiarisation training) ან სხვაობათა სწავლებას (Differences training);

ჟ) **სასწავლო დაწესებულება** – ამ წესის შესაბამისად სერტიფიცირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული მომზადება განსაზღვრულ სასწავლო საქმიანობის ძირითად ადგილ(ებ)ზე;

რ) **სასწავლო საქმიანობის ძირითადი ადგილი** – აეროდრომი ან საფრენი მოედანი, სადაც სდ ახორციელებს ინსტრუქტორის საფრენოსნო (პრაქტიკულ) მომზადებას, მომზადების პროგრამის წარმართვას და მასზე ზედამხედველობას. თეორიული მომზადება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც სასწავლო საქმიანობის ძირითად ადგილზე, ისე, სხვა წინასწარ შეთანხმებულ ადგილას;

ს) **კომპეტენციის შეფასება** – ზსხ-ის პილოტის ფრენის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით უნარების, ცოდნისა და დამოკიდებულების

წარმოჩენა.

შენიშვნა: გაცნობითი სწავლება გულისხმობს ზსხ-ის განსხვავებულ ვარიანტზე დამატებითი თეორიული ცოდნის მიღებას, ხოლო სხვაობათა სწავლება გულისხმობს შესაბამის ზსხ-თან დაკავშირებით დამატებითი თეორიული ცოდნისა და საფრენოსნო წვრთნის მიღებას.

2. ამ წესში მოცემულ განმარტებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ზსხ** – ზემსუბუქი საჰაერო ხომალდი;

ბ) **სთ** – საათი;

გ) **სდ** – სასწავლო დაწესებულება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

თავი II
ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 3. ზსხ-ის საფრენოსნო ეკიპაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა

1. პირი უფლებამოსილია დაიწყოს საფრენოსნო მომზადება ზსხ-ის პილოტის მოწმობის მიღების მიზნით, თუ ფლობს ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა).
2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) გაცემული უნდა იყოს ნევროლოგიური, ოფთალმოლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის, ენდოკრინოლოგიური (შაქრიანი დიაბეტი – ჰიპოგლიკემიის რისკი) და მამოძრავებელი სისტემების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ფსიქოემოციურ მდგომარეობას და ანამნეზში ინფექციურ დაავადებებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული კვლევებით არ უნდა დგინდებოდეს მწვავე და ქრონიკული დეკომპენსირებული დაავადებები.

4. იმ შემთხვევაში, თუ პირი, მოწმობის მოქმედების პერიოდში, ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის პირობას, დაუშვებელია მის მიერ საფრენოსნო ეკიპაჟის წევრის რანგში ზსხ-ის ბორტზე მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენება.

5. საფრენოსნო მომზადების დაწყების მიზნით, პირს შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV-100/ა) ნაცვლად ფლობდეს I ან II კლასის მოქმედ სამედიცინო სერტიფიკატს.

შენიშვნა: I და II კლასის სამედიცინო სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ჩიკაგოს კონვენციის 1-ლი დანართის ან 2011 წლის 3 ნოემბრის ევროკავშირის რეგულაციის No 1178/2011 (Commission Regulation (EU) No 1178/2011) ANNEX IV (PART-MED)-ის პირობების ან სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 8 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასამედიცინო ცენტრის და ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების, ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 4. მოწმობის გაცემის მიზნით საფრენოსნო შემოწმებაზე დაშვების პირობები

1. პირი არ დაიშვება საფრენოსნო შემოწმებაზე, ვიდრე არ ჩააბარებს საერთო თეორიული საგნების გამოცდას და სპეციფიკურ სახმელეთო შემოწმებას (დანართი №2). საფრენოსნო შემოწმებაზე პირი უნდა წარადგინოს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორმა ან ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სერტიფიცირებულმა სდ-მ, რომელიც ადასტურებს, რომ პირს გააჩნია მოწმობის მიღებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და საფრენოსნო გამოცდილება.
2. მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ პირი აკმაყოფილებს მის მისაღებად ამ წესით დადგენილ ყველა პირობას.

მუხლი 4^1. მოწმობის/სერტიფიკატის მფლობელის ზოგადი ვალდებულებები

პირი, რომელიც ახორციელებს ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაციას, ვალდებულია:
ა) დაიცვას ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) ფრენა შეასრულოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის პირობებს;

გ) გააჩნდეს ამ წესის საფუძველზე გაცემული ზსხ-ის პილოტის მოწმობა ან სერტიფიკატი განსახორციელებელი საქმიანობის შესაბამისი უფლებამოსილებით;

დ) აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №556 დადგენილებით დამტკიცებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით“ დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 09.12.2025წ.

მუხლი 5. მოწმობის და აღიარების სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერება, აღდგენა, გაუქმება, დუბლიკატის გაცემა

1. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მოწმობის, მოწმობაში არსებული შესაბამისი უფლებამოსილების ან აღიარების სერტიფიკატის შეჩერებასთან დაკავშირებით, თუ:
ა) საინსპექციო შემოწმებისას გამოვლინდა ნაკლოვანება;
ბ) პირი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მოწმობის, მოწმობაში არსებული შესაბამისი უფლებამოსილების ან აღიარების სერტიფიკატის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ:
ა) მოითხოვს მოწმობის/აღიარების სერტიფიკატის მფლობელი პირი
ბ) მოწმობის/აღიარების სერტიფიკატის მფლობელმა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორა შეჩერების საფუძველი;
გ) მოწმობის/აღიარების სერტიფიკატის მფლობელი პირი ახორციელებდა საფასურის სანაცვლოდ ზსხ-ით მგზავრის, ტვირთის ან ფოსტის გადაყვანა-გადაზიდვას.
3. მოწმობის/აღიარების სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს ზსხ-ის პილოტის მოწმობის გაცემის ან უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტის აღიარების მიზნით, დოკუმენტის გაუქმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.
4. მოწმობის/აღიარების სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში, პირმა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში, დოკუმენტი უნდა დაუბრუნოს სააგენტოს.
5. მოწმობის, აღიარების სერტიფიკატის ან შესაბამისი უფლებამოსილების მოქმედების ვადა შესაძლებელია შეჩერდეს იმ დრომდე, ვიდრე არ გამოსწორდება შეჩერების საფუძველი, მაგრამ შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს – 90 დღით.
6. მოწმობის, აღიარების სერტიფიკატის ან შესაბამისი უფლებამოსილების მოქმედება აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის გასვლამდე გამოსწორდება შეჩერების საფუძველი.
7. მოწმობის ან სერტიფიკატის დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში მოწმობის/სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, მიმართოს სააგენტოს მოწმობის ან სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემის მიზნით. დუბლიკატი გაიცემა მოწმობის/სერტიფიკატის მფლობელის განცხადების სააგენტოში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. მოწმობის ან სერტიფიკატის დაზიანების შემთხვევაში მოწმობის/სერტიფიკატის მფლობელმა სააგენტოს უნდა დაუბრუნოს დაზიანებული დოკუმენტი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 09.12.2025წ.

მუხლი 6. სპეციალური უფლებამოსილებები

ზსხ-ის პილოტი უფლებამოსილია მოწმობაში მიიღოს შემდეგი სპეციალური უფლებამოსილებები:
ა) რადიოსატელეფონო კავშირით სარგებლობის უფლებამოსილება – ზსხ-ის პილოტის მოწმობის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს რადიოსატელეფონო კავშირი ინგლისურ ენაზე ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან სპეციფიკური სახმელეთო და საფრენოსნო შემოწმების გავლის შემდეგ, რომელიც დასტურდება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის

მიერ შესაბამისი დოკუმენტების გაცემით;

ბ) პლანერის ბუქსირების უფლებამოსილება – პლანერის ბუქსირების უფლებამოსილების მისაღებად ზსხ-ის პილოტს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება, რომლის გავლა დასტურდება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ შესაბამისი დოკუმენტის გაცემით;

გ) მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილება – მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილების მისაღებად ზსხ-ის პილოტს უნდა გააჩნდეს მოწმობის მიღების შემდეგ არანაკლებ 15 სთ ან მეტი დამოუკიდებლად ფრენის გამოცდილება და ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება. მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილება გაიცემა ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან სპეციფიკური სახმელეთო და საფრენოსნო შემოწმების გავლის შემდეგ, რაც დასტურდება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 7. რადიოსატელეფონო კავშირი

1. ინგლისურ ენაზე რადიოსატელეფონო კავშირის უფლებამოსილების მისაღებად პირმა ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან უნდა გაიაროს სპეციფიკური სახმელეთო და საფრენოსნო შემოწმება. რადიოსატელეფონო კავშირის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სწავლება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №595 დადგენილებით დამტკიცებული „საავიაციო რადიოკავშირისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების წესის“ და ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად შემუშავებული პროგრამის მიხედვით, შესაბამისი კლასის ზსხ-ის გათვალისწინებით.
2. შემოწმებისას, ზსხ-ის პილოტმა ფრენის დაგეგმვისა და მისი შესრულების განმავლობაში რადიოსატელეფონო კავშირის გამოყენებით უნდა განახორციელოს კომუნიკაცია.

3. ინგლისურ ენაზე რადიოსატელეფონო კავშირის უფლებამოსილება გაიცემა ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ, ხოლო მოწმობაში შესაბამისი აღნიშვნა შეაქვს სააგენტოს.

მუხლი 8. უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტის აღიარება

1. უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ გაცემული მოწმობით სააგენტოს მიერ აღრიცხულ ზსხ-ზე მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენება შესაძლებელია სააგენტოს მიერ აღნიშნული მოწმობის და მასში განსაზღვრული უფლებამოსილების აღიარების შემდგომ.
2. უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობის აღიარება და აღიარების სერტიფიკატის, ამ წესის №7 დანართის შესაბამისად გაცემა, ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) თუ პირი ფლობს ზსხ-ის პილოტის მოწმობას:

ა.ა) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე;

შენიშვნა: აღიარების სერტიფიკატის მისაღებად სააგენტოს განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარედგინება ამ წესის №15 დანართის შესაბამისად.

ა.ბ) მოწმობის გამცემი სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლება ან შესაბამისი უწყება ადმინისტრაციული წარმოების ვადაში დაადასტურებს წარმოდგენილი მოქმედი მოწმობის და მასში არსებული მონაცემების ნამდვილობას; და

ა.გ) მოწმობის მფლობელი პირის მიერ სააგენტოში თეორიული გამოცდის გავლისას, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. თეორიული გამოცდის გავლა არ მოეთხოვება პირს, თუ უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტის აღიარების მიზნით, სააგენტოში საერთო თეორიული გამოცდის ჩაბარებიდან გასულია არაუმეტეს 24 თვე.

ბ) თუ პირი ფლობს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (Annex 1 - Personnel Lisensing) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოწმობას მოქმედი ოსტატობით:

ბ.ა) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე;

ბ.ბ) მოწმობის გამცემი სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლება ადმინისტრაციული წარმოების ვადაში დაადასტურებს წარმოდგენილი მოწმობისა და მასში არსებული მონაცემების ნამდვილობას, ასევე, დაადასტურებს, რომ მოწმობის მფლობელი პირი დოკუმენტის გამცემ სახელმწიფოში უფლებამოსილია, განახორციელოს ზსხ-ს შესაბამისი კლასის (თვითმფრინავი ან შვეულმფრენი) საფრენოსნო ექსპლუატაცია;

ბ.გ) ამ წესის შესაბამისად სერტიფიცირებულ ზსხ-ის პილოტს ინსტრუქტორთან ჩაბარებული აქვს საფრენოსნო შემოწმება.

შენიშვნა: საფრენოსნო შემოწმებაზე პირი დაიშვება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გადაწყვეტილებით, მას შემდეგ, რაც გაივლის გაცნობით ან სხვაობათა სწავლებას და დამატებით საფრენოსნო მომზადებას (თუ პირის საფრენოსნო უნარ-ჩვევები მოცემულ დროს არ იძლევა ზსხ-ის უსაფრთხოდ მართვის შესაძლებლობას). დამატებითი საფრენოსნო მომზადების ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოწმობის აღიარებისათვის განმეორებით მიმართვისას, იმ შემთხვევაში, თუ აღიარების სერტიფიკატის ვადის ამოწურვიდან გასული პერიოდი:

ა) არ აღემატება 12 თვეს ზსხ-ის მე-2 კლასის, ხოლო 6 თვეს – მე-4 კლასის შემთხვევაში, პირს აღარ მოეთხოვება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულება;

ბ) აღემატება 12 თვეს ზსხ-ის მე-2 კლასის, ხოლო 6 თვეს – მე-4 კლასის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების ნაცვლად, პირს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან ერთად უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ 1-საათიანი ფრენა.

შენიშვნა: ფრენის შესახებ ჩანაწერი აღინიშნება პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, რომელსაც ხელს აწერს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი.

4. მოწმობის მფლობელი პილოტი უფლებამოსილია, აღიარების თარიღიდან არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში განახორციელოს მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილებები, რომლის ვადაც იზღუდება მოწმობის გამცემი სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობის (კვალიფიკაციის) მოქმედების ვადით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან შესაბამისი კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადით, რომელიც უფრო ნაკლებია

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 09.12.2025წ.

მუხლი 9. პილოტის საფრენოსნო წიგნაკი და საფრენოსნო დროის დათვლა

1. ზსხ-ის პილოტის მოწმობის მფლობელმა პირადად უნდა აწარმოოს საფრენოსნო დროის აღრიცხვა პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, სადაც მითითებული უნდა იყოს, სულ მცირე, ზსხ-ის აღრიცხვის ნიშანი, ფრენის სახეობა (სასწავლო, შემოწმება და სხვა), ფრენის თარიღი, გაფრენისა და მოფრენის დრო, აეროდრომი/ადგილი.
2. ზსხ-ის პილოტი უფლებამოსილია სრულად ჩაითვალოს საფრენოსნო დრო, რომელიც იფრინა ზსხ-ის მეთაურის რანგში. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი დრო ჩაითვლება სრულად.

თავი III
თეორიული გამოცდები და შეფასებები

მუხლი 10. საერთო თეორიული გამოცდა და თეორიული ცოდნის შეფასება

1. საერთო თეორიული ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის მისაღებად პილოტის მოწმობის მიღების/აღიარების მსურველმა პირმა სააგენტოში უნდა ჩააბაროს თეორიული გამოცდა, რომელიც ეფუძნება ამ წესის დანართ №1-ში განსაზღვრულ პროგრამას. გამოცდა:
ა) არის 90 წუთის ხანგრძლივობის;

ბ) შედგება 60 ღია ტიპის კითხვისგან, კითხვებზე პასუხის რამდენიმე ვარიანტის ფორმატით (MCQ).

2. გამოცდის ჩასაბარებლად ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულმა პირმა სწორად უნდა უპასუხოს კითხვების არანაკლებ 75%-ს. გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სააგენტოს მიერ გაიცემა ზსხ-ის პილოტის საერთო თეორიული ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. საერთო თეორიული ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა ამ წესის №5 დანართის შესაბამისად და მოქმედია გაცემის თარიღიდან 24 თვის განმავლობაში.

4. ზსხ-ის პილოტის საერთო თეორიული ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის ეკვივალენტური დოკუმენტის მფლობელად მიიჩნევა პირი იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) ფლობს თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოქმედ მოწმობას, რომელიც გაცემულია ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის შესაბამისად;

ბ) ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოქმედ მოწმობას;

გ) ფლობს არაუმეტეს 24 თვით ადრე გაცემულ თეორიული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომელიც მიღებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და/ან „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული მოწმობების მიღების მიზნით.

5. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის თეორიული ცოდნის შეფასებაში დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად პირმა სწორად უნდა უპასუხოს საერთო თეორიული გამოცდის კითხვების არანაკლებ 90%-ს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.

მუხლი 11. საერთო თეორიული გამოცდის ჩატარების და გამოცდაზე დაშვების პირობები
1. საერთო თეორიული გამოცდის ჩატარებას და საგამოცდო კითხვების შედგენას ახორციელებს სააგენტო.
2. საერთო თეორიული გამოცდის ჩატარების წესები და პირობები განსაზღვრულია ამ წესის №8 დანართის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.

მუხლი 12. სპეციფიკური სახმელეთო შემოწმება
სახმელეთო შემოწმება სპეციფიკურია ზსხ-ის თითოეული კლასისთვის და ითვალისწინებს პირის ცოდნის შემოწმებას შესაბამისი კლასის ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ. ამ წესის დანართი №2-ში განსაზღვრული სპეციფიკური სახმელეთო შემოწმების პროგრამა უნდა შემუშავდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ, შესაბამისი კლასის ზსხ-ის გათვალისწინებით.

თავი IV
ზსხ–ის პილოტი

მუხლი 13. პილოტ -კურსანტი
1. პილოტ-კურსანტი უფლებამოსილია მოწმობის მიღების მიზნით დაიწყოს საფრენოსნო მომზადება შემდეგი პირობების დაცვით:
ა) ასაკი – არანაკლებ 16 წელი;
ბ) გააჩნია სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ გაცემული საფრენოსნო მომზადების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი (დეკლარაცია ამ წესის №6 დანართის შესაბამისად), რომლის ასლი ეგზავნება სააგენტოს პირველი ფრენის განხორციელებამდე არანაკლებ 72 საათით ადრე, პილოტ-კურსანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლთან ერთად. დეკლარაცია მოქმედია სააგენტოს მიერ მისი მიღების დადასტურების შემდეგ;

შენიშვნა: დეკლარაცია იგზავნება სააგენტოს შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: ULM@gcaa.ge.
2. ზსხ-ს პილოტ-კურსანტმა საფრენოსნო მომზადების განმავლობაში დამოუკიდებელი ფრენა უნდა განახორციელოს, თუ ფლობს სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ გაცემულ წერილობით თანხმობას, რომელიც ინსტრუქტორმა უნდა გასცეს ყოველი დამოუკიდებელი ფრენის განხორციელებამდე.
3. დამოუკიდებლად შესრულებული სასწავლო ფრენების დროს ზსხ-ის პილოტ-კურსანტს ბორტზე მუდმივად უნდა ჰქონდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტი.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.

მუხლი 13[1]. პილოტ-კურსანტის მომზადების დამატებითი პირობები
1. პილოტ-კურსანტის მომზადების თეორიული სწავლება და გამოყენებული სახელმძღვანელო(ები) უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, ამ წესის №1 დანართის შესაბამისად განსაზღვრული პროგრამის საკითხებს. პილოტ-კურსანტი აღნიშნული სასწავლო სახელმძღვანელოთი უნდა უზრუნველყოს ფრენის ინსტრუქტორმა.
2. ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორი ვალდებულია, გააჩნდეს და აწარმოოს პილოტკურსანტის სწავლების პროგრესის ამსახველი დოკუმენტი და სწავლებისას გამოყენებული ამ წესით განსაზღვრული შესაბამისი ფორმები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების შენახვა უნდა განხორციელდეს ფრენის ინსტრუქტორის მიერ საფრენოსნო შემოწმებების გავლის თარიღიდან 24 თვის განმავლობაში. დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია ელექტრონული და/ან მატერიალური ფორმით, ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაზიანებას, ცვლილებას და დაკარგვას.
4. პილოტ-კურსანტის/პილოტის საფრენოსნო მომზადება უნდა განხორციელდეს ამ წესის №20 – №23 დანართებში განსაზღვრული პრაქტიკული სავარჯიშოების გათვალისწინებით. საფრენოსნო მომზადების სილაბუსს ადგენს ფრენის ინსტრუქტორი და ითანხმებს სააგენტო.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 09.12.2025წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 14. ზსხ-ის პილოტის მოწმობის გაცემის პირობები
1. ზსხ-ის პილოტის მოწმობის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) ასაკი – არანაკლებ 16 წელი;

შენიშვნა: მოწმობის მისაღებად სააგენტოს განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარედგინება ამ წესის №13 დანართის შესაბამისად.

ბ) გავლილი აქვს საერთო თეორიული ცოდნის დონის სერტიფიკატის მისაღებად სწავლების პროგრამა და ფლობს საერთო თეორიული საგნების გამოცდის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს;

გ) შესაბამისი კლასის ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორთან ჩაბარებული აქვს:

გ.ა) სპეციფიკური სახმელეთო შემოწმება ამ წესის №2 დანართის შესაბამისად;

შენიშვნა: ზსხ-ზე სპეციფიკური სახმელეთო შემოწმების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა განისაზღვრება ამ წესის №9 დანართის შესაბამისად.

გ.ბ) საფრენოსნო შემოწმება;

შენიშვნა: ზსხ-ზე საფრენოსნო შემოწმების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა განისაზღვრება ამ წესის №10 დანართის, ხოლო საფრენოსნო შემოწმების საკითხები ზსხ-ს კლასების გათვალისწინებით, განისაზღვრება ამ წესის №12 დანართის შესაბამისად

დ) გააჩნია ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მიერ გაცემული სახმელეთო და საფრენოსნო შემოწმებების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. თვითმფრინავის ან შვეულმფრენის მოყვარული პილოტის, კომერციული პილოტის ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის საფუძველზე ზსხ-ის პილოტის მოწმობის გაცემა ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) პირის განცხადების საფუძველზე ამ წესის №14 დანართის შესაბამისად;

ბ) პირი ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოქმედ მოწმობას;

გ) პირს 2025 წლის 2 ნოემბრამდე ნაფრენი აქვს ზსხ-ზე, რომელიც დასტურდება პილოტის საფრენოსნო წიგნაკით და მოქმედია ის ოსტატობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდებოდა ზსხ-ის ექსპლუატაცია; ან

დ) პირს ზსხ-ს შესაბამისი კლასის ინსტრუქტორთან ჩაბარებული აქვს საფრენოსნო შემოწმება.

შენიშვნა: საფრენოსნო შემოწმებაზე პირი დაიშვება ზსხ-ის პილოტის ფრენის ინსტრუქტორის გადაწყვეტილებით, მას შემდეგ, რაც გაივლის გაცნობით ან სხვაობათა სწავლებას და დამატებით საფრენოსნო მომზადებას (თუ პირის საფრენოსნო უნარ-ჩვევები მოცემულ დროს არ იძლევა ზსხ-ის უსაფრთხოდ მართვის შესაძლებლობას). დამატებითი საფრენოსნო მომზადების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

3. იმ შემთხვევაში, თუ პირი 2025 წლის 2 ნოემბერამდე ზსხ-ზე ახორციელებდა ინსტრუქტორის საქმიანობას, აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მინიჭება ზსხ-ს პილოტის მოწმობაში იმ პირობით, თუ:

ა) ავიასპეციალისტის მოწმობაში მოქმედია პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობა;

ბ) ზსხ-ზე საინსტრუქტორო საქმიანობა დასტურდება პილოტის საფრენოსნო წიგნაკის ჩანაწერებით.

4. ზსხ-ის პილოტის მოწმობა სააგენტოს მიერ გაიცემა უვადოდ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 09.12.2025წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 15. მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილება

1. ზსხ-ის პილოტის მოწმობის მფლობელი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს ფრენა მგზავრის გარეშე, მხოლოდ იმ კლასის ზსხ-ით, რომლის კვალიფიკაციასაც ფლობს;

ბ) განახორციელოს ფრენა მგზავრთან ერთად, თუ ფლობს აღნიშნულ უფლებამოსილებას შესაბამისი კლასის ზსხ-ისთვის ამ წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) განახორციელოს პლანერის ბუქსირება, გარდა ზემსუბუქი პლანერისა, იმ შემთხვევაში, თუ ფლობს აღნიშნულ უფლებამოსილებას ამ წესის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) განახორციელოს რადიოსატელეფონო კავშირი ინგლისურ ენაზე, თუ ფლობს აღნიშნულ უფლებამოსილებას ამ წესის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. დაუშვებელია ზსხ-ით ფრენა მგზავრთან ერთად, თუ პილოტს უკანასკნელი 90 დღის განმავლობაში შესაბამისი კლასის ზსხ-ის მეთაურის რანგში არ შეუსრულებია არანაკლებ 3 აფრენა და დაფრენა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 7 მარტის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 11.03.2025წ.

მუხლი 16. ზსხ-ის კლასის კვალიფიკაცია

1. ზსხ-ის პილოტს, კონკრეტულ ზსხ-ზე მოწმობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, უნდა გააჩნდეს შესაბამისი კლასის ზსხ-ის კვალიფიკაცია.
2. კლასის კვალიფიკაცია მოითხოვება შემდეგი კლასის ზსხ-ებისთვის:

ა) 1-ლი კლასი – მოტოდელტაპლანი;

ბ) მე-2 კლასი – თვითმფრინავი;

გ) მე-3 კლასი – ავტოჟირი;

დ) მე-4 კლასი – შვეულმფრენი.

თავი V
ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი

მუხლი 17. ზსხ–ს პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია

1. ზსხ-ის პილოტის მოწმობის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით ფრენის ინსტრუქტაჟის დაწყების გადაწყვეტილების მისაღებად ან ფრენის ინსტრუქტაჟის განსახორციელებლად ზსხ-ის პილოტს უნდა გააჩნდეს ფრენის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია.
2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს სწავლება ზსხ-ის ერთ ან რამდენიმე შემდეგ კლასზე:

ა) 1-ლი კლასი – მოტოდელტაპლანი;

ბ) მე-2 კლასი – თვითმფრინავი;

გ) მე-3 კლასი – ავტოჟირი;

დ) მე-4 კლასი – შვეულმფრენი.

მუხლი 18. საწყისი სწავლება და პედაგოგიური მომზადება

1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად, პირი უფლებამოსილია დაიწყოს ინსტრუქტორის საწყისი სწავლება, იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
ა) ფლობს ზსხ-ის პილოტის მოწმობას და გავლილი აქვს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის თეორიული ცოდნის შეფასება ამ წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ბ) მეთაურის რანგში აქვს შემდეგი საფრენოსნო გამოცდილება, ზსხ-ის კლასის გათვალისწინებით, რომელზეც პირმა უნდა მიიღოს ინსტრუქტორის კვალიფიკაცია:

ბ.ა) 1-ლი კლასი – 100 სთ;

ბ.ბ) მე-2 კლასი – 150 სთ;

ბ.გ) მე-3 კლასი – 200 სთ;

ბ.დ) მე-4 კლასი – 200 სთ;

გ) პირი საფრენოსნო გამოცდილებას ადასტურებს პილოტის საფრენოსნო წიგნაკით;

დ) ფლობს მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილებას არანაკლებ 6 თვის განმავლობაში;

ე) ფლობს ინგლისურ ენაზე რადიოსატელეფონო კავშირით სარგებლობის უფლებამოსილებას;

ვ) გავლილი აქვს ფრენისას კომპეტენციის საწყისი შეფასება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სერტიფიცირებულ სდ-ში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად, ზსხ-ს მე-2 და მე-4 კლასებისათვის ჩაითვლება:

ა) 2025 წლის 2 ნოემბრამდე ერთპილოტიანი დგუშიანი ძრავის მქონე არაზემსუბუქ სხ-ზე (SEP) დაგროვებული საფრენოსნო გამოცდილება, საიდანაც ჩაითვლება სავალდებულო გამოცდილების 80%, ხოლო დარჩენილ საათებს პირი აგროვებს ზსხ-ზე ჩათვლიდან 1 წლის პერიოდში, თუ ჯამური გამოცდილება არასაკმარისია ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად;

ბ) 2025 წლის 2 ნოემბრამდე ერთპილოტიანი დგუშიანი ძრავის მქონე ზემსუბუქ სხ-ზე (SEP), რომელიც ირიცხებოდა საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში, დაგროვებული საფრენოსნო გამოცდილება ჩაითვლება სრულად, ხოლო დარჩენილ საათებს პირი აგროვებს ზსხ-ზე ჩათვლიდან 6 თვის პერიოდში, თუ ჯამური გამოცდილება არასაკმარისია ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად.

შენიშვნა: საფრენოსნო გამოცდილება გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ მოქმედია პილოტის მოწმობა და სათანადო ოსტატობა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საფრენოსნო გამოცდილების დაგროვება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 19. ინსტრუქტორობის კანდიდატი
ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორობის კანდიდატის საქმიანობის უფლება ზსხ-ის შესაბამის კლასზე ან კლასებზე ეძლევა პირს, რომელიც გადის ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებას და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) სრულად გავლილი აქვს საწყისი სწავლება და მიღებული აქვს დამაკმაყოფილებელი შეფასება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სერტიფიცირებულ სდ-ში, რომელსაც გააჩნია საწყისი სწავლების დასრულების შემდეგ კომპეტენციის შეფასების უფლებამოსილება.

მუხლი 20. ინსტრუქტორობის კანდიდატის საქმიანობის უფლება
1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორობის კანდიდატი უფლებამოსილია განახორციელოს ზსხ-ის პილოტ-კურსანტის თეორიული და საფრენოსნო მომზადება ზსხ-ის პილოტის მოწმობის მიღების მიზნით, ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორობის კანდიდატი მთელ მის პედაგოგიურ მომზადებას ახორციელებს იმ სდ-ში, სადაც მან მოიპოვა ინსტრუქტორობის კანდიდატის საქმიანობის უფლება, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლის და სდ-ის სწავლების მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 21. ზსხ–ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია
1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:
ა) იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება პირველადი მომზადება, პირი შესაბამისი კლასის ზსხ-ზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა.ა) არის ზსხ-ის ინსტრუქტორობის კანდიდატი;

ა.ბ) სრულად და დამაკმაყოფილებლად გაიარა პედაგოგიური მომზადება სდ-ში, რომელსაც გააჩნია სწავლების დასრულების შემდეგ ზსხ-ის შესაბამის კლასზე კომპეტენციის შეფასების უფლებამოსილება;

ა.გ) ზსხ-ს ინსტრუქტორის გამომცდელთან ჩაბარებული აქვს კომპეტენციის შეფასება;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ან ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (ANNEX 1 – PERSONNEL LISENSING) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოწმობას ფრენის ინსტრუქტორის მოქმედი ოსტატობით, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების მიზნით:

ბ.ა) გავლილი აქვს დამატებითი მომზადება სდ-ში, ზსხ-ის მე-2 ან მე-4 კლასზე არსებულ მოწმობაში მითითებული სხ-ს სახეობის შესაბამისად;

შენიშვნა: დამატებითი მომზადების პირობები განისაზღვრება ამ წესის მე-9 თავის შესაბამისად.

ბ.ბ) ზსხ-ს ინსტრუქტორის გამომცდელთან ჩაბარებული აქვს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად სააგენტოს დოკუმენტაცია წარედგინება ამ წესის №32 დანართის შესაბამისად.

2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია მიუთითებს ზსხ-ის კლასს ან კლასებს, რომელთათვისაც ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორობის კანდიდატმა დააკმაყოფილა კვალიფიკაციის მინიჭების პირობები.

3. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციაში ზსხ-ის ახალი კლასის დამატება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოწმობაში ზსხ-ის დაკავშირებულ კლასზე ფლობს მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილებას;

ბ) გავლილი აქვს დამატებითი სწავლება, რომლის მოცულობა დამოკიდებულია ზსხ-ის კლასზე და სწავლების დასრულების შემდეგ გავლილი აქვს კომპეტენციის შეფასება.

4. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია მიეთითება ზსხ-ის პილოტის მოწმობაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 22. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოქმედების ვადა, მოქმედების ვადის გაგრძელება და განახლება

1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია მოქმედია უკანასკნელი კომპეტენციის შეფასების გავლიდან 36 თვის განმავლობაში.
2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება, თუ:

ა) კვალიფიკაციის ვადის გასვლამდე 36 თვის განმავლობაში ინსტრუქტორს გავლილი აქვს ცოდნის განახლების ორდღიანი კურსი;

ბ) კვალიფიკაციის ვადის გასვლამდე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სდ-ში გავლილი აქვს კომპეტენციის შეფასება, შემდეგი პირობების დაცვით:

ბ.ა) ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის შეფასება განხორციელდა იმ სდ-ის გამომცდელთან, სადაც პირმა გაიარა ცოდნის განახლების კურსი ან სხვა გამომცდელთან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ სდ-ის არ აქვს გამოცდის ჩატარების შესაძლებლობა;

შენიშვნა: ცოდნის განახლების კურსის გავლის დასტური გაიცემა სდ-ის მიერ ამ წესის №25 დანართის შესაბამისად.

ბ.ბ) შეფასების განმავლობაში გამომცდელი აფასებს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის უნარს განახორციელოს სწავლება ზსხ-ის კლასის გათვალისწინებით, ამ წესის №20-№23 დანართებში განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად;

ბ.გ) ფრენისწინა შემოწმება წარმოადგენს საკონტროლო ფრენის განუყოფელ ნაწილს. საკონტროლო ფრენის თეორიული (სახმელეთო) და პრაქტიკული (საფრენოსნო) შინაარსი უზრუნველყოფს გამომცდელის მიერ ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის პასუხისმგებლობების ცოდნის შეფასებას და განსაკუთრებით, ზსხ-თან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებთან მიმართებაში;

ბ.დ) იმ შემთხვევაში, თუ ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი ფლობს ზსხ-ის რომელიმე ერთ კლასზე ინსტრუქტაჟის ჩატარების უფლებამოსილებას, კომპეტენციის შეფასება უნდა შესრულდეს ზსხ-ის აღნიშნულ კლასზე;

ბ.ე) იმ შემთხვევაში, თუ ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი ფლობს ზსხ-ის რამდენიმე კლასზე ინსტრუქტაჟის ჩატარების უფლებამოსილებას, კომპეტენციის შეფასება უნდა შესრულდეს ინსტრუქტორის მიერ შერჩეულ კლასზე. კვალიფიკაციის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო გაგრძელებისას შეფასება უნდა განხორციელდეს ზსხ-ს განსხვავებულ კლასზე.

3. თუ ინსტრუქტორი ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოქმედების ვადის განმავლობაში ვერ ჩააბარებს კომპეტენციის შეფასებას, იგი ვერ ისარგებლებს ამ კვალიფიკაციით მინიჭებული უფლებით აღნიშნული შეფასების ჩაბარებამდე. კომპეტენციის შეფასების ჩაბარებამდე პირი იმყოფება მოცდის პერიოდში.

4. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის ვადის განახლება ხორციელდება, თუ ინსტრუქტორი დაადასტურებს, რომ კვალიფიკაციის განახლების მიზნით განცხადების წარდგენამდე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში:

ა) სდ-ში გავლილი აქვს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების კურსი, რომელიც მოიცავს არანაკლებ 12 სთ სწავლებას;

შენიშვნა: ცოდნის განახლების კურსის გავლის დასტური გაიცემა სდ-ის მიერ ამ წესის №25 დანართის შესაბამისად.

ბ) ზსხ-ის შესაბამის კლასზე სდ-ში გავლილი აქვს კომპეტენციის შეფასება ამ წესის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირობების შესაბამისად;

შენიშვნა: კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ამ წესის №26 დანართის შესაბამისად.

გ) ერთზე მეტი ზსხ-ის კლასის კვალიფიკაციის განახლების შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შეფასება გავლილი აქვს მოწმობაში მინიჭებული ზსხ-ის თითოეული კლასისთვის.

შენიშვნა: ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოქმედების ვადის განახლებისთვის სააგენტოს განცხადება წარედგინება ამ წესის №35 დანართის შესაბამისად.

5. ცოდნის განახლების სწავლება მოიცავს საკლასო თეორიულ სწავლებას და ინსტრუქტორებს აცნობს განახლებულ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

ა) სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებული წესები და პროცედურები, ასევე საავიაციო მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაცია რეალური მაგალითების შესწავლით;

ბ) ადამიანის შესაძლებლობები, საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM) და პედაგოგიკა;

გ) ზსხ-ის ფრენის საფუძვლები და ტექნიკური მომსახურება.

6. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია და მოქმედების ვადა აღინიშნება ზსხ-ის პილოტის მოწმობაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 23. ზსხ–ის პილოტის ინსტრუქტორის უფლებამოსილებები

1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაცია მის მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას, ზსხ-ის შესაბამის კლას(ებ)ზე განახორციელოს:

ა) თეორიული და საფრენოსნო მომზადება ზსხ-ის პილოტის მოწმობის მიღების მიზნით;

ბ) სწავლება ამ წესის მე-6 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილების მიღების მიზნით;

გ) სწავლება ამ წესის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული პლანერის ბუქსირების უფლებამოსილების მიღების მიზნით;

დ) სწავლება ამ წესის მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტში აღნიშნული ინგლისურ ენაზე რადიოსატელეფონო კავშირის უფლებამოსილების მიღების მიზნით;

2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს ზსხ-ის პილოტის მომზადების შემოწმება და მისი დაშვება:

ა) სპეციფიკურ სახმელეთო შემოწმებაზე;

ბ) საფრენოსნო შემოწმებაზე;

გ) შემოწმებაზე, ამ წესის მე-6 მუხლის „ა-გ“ პუნქტებში განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილების მიღების მიზნით.

2[1]. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს პილოტ-კურსანტის/პილოტის სპეციფიკური სახმელეთო და საფრენოსნო შემოწმება, ასევე, შემოწმებები ამ წესის მე-6 მუხლის „ა-გ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილების მიღების მიზნით, გარდა იმ პირებისა, რომელთა სწავლებაც თვითონ განახორციელა.

3. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორი უფლებამოსილია განახორციელოს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის თეორიული სწავლება და პრაქტიკული მომზადება, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლის რანგში, იმ შემთხვევაში თუ მას ზსხ-ის პილოტ-კურსანტებისთვის ჩატარებული აქვს არანაკლებ 100 სთ თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №184 - ვებგვერდი, 15.08.2024წ.

თავი VI
ზსხ–ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელი

მუხლი 24. ზსხ–ს პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილების მინიჭება

1. პირს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილება ენიჭება, თუ:
ა) ფლობს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციას;

ბ) ფლობს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სწავლებისა და მომზადების უფლებამოსილებას ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლის რანგში ამ წესის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) დაადასტურებს, რომ ინსტრუქტორობის კანდიდატებისთვის ჩატარებული აქვს არანაკლებ 100 სთ თეორიული და პრაქტიკული სწავლება ან ზსხ-ის პილოტ-კურსანტებისთვის ჩატარებული აქვს არანაკლებ 250 სთ პრაქტიკული სწავლება.

შენიშვნა: ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილების მისაღებად პირმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს განცხადება და ინფორმაცია ამ წესის №33 დანართის შესაბამისად.

2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილება მოქმედია მანამ, სანამ პირი ინარჩუნებს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მოქმედ კვალიფიკაციას.

3. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელი, ზსხ-ის იმ კლას(ებ)-ზე, რომელზეც დაშვებასაც ფლობს, უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი, გარდა ზსხ-ის პილოტის იმ ინსტრუქტორებისა, რომელთა სწავლებაც თვითონ განახორციელა:

ა) კომპეტენციის შეფასება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების, მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით;

ბ) კომპეტენციის შეფასება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორისთვის კვალიფიკაციაში ზსხ-ის ახალი კლასის დამატების მიზნით.

4. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილება პირს ენიჭება სააგენტოს მიერ და მიეთითება ზსხ-ის პილოტის მოწმობაში.

თავი VII
სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირება

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 25. სდ-ის სერტიფიცირების პროცესი

1. ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის მომზადების სდ-ის სერტიფიცირებას ახორციელებს სააგენტო, იმ შემთხვევაში, თუ სდ აკმაყოფილებს სერტიფიცირებისთვის დადგენილ პირობებს.
2. სდ-ის სერტიფიცირება მოიცავს ოთხ ეტაპს:

ა) I ეტაპი:

ა.ა) განცხადებისა და თანდართული საბუთების სააგენტოში წარდგენა;

ა.ბ) განცხადებისა და თანდართული საბუთების წინასწარი განხილვა და შეფასება სააგენტოში;

ბ) II ეტაპი – განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება;

გ) III ეტაპი – სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და სერტიფიკატის გაცემა;

დ) IV ეტაპი – სდ-ის საქმიანობაზე მუდმივი ზედამხედველობა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 26. სდ-ის სერტიფიკატის გაცემა

1. სასწავლო დაწესებულება, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის (შემდგომში – სდ-ის სერტიფიკატი) მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სდ ფლობს სასწავლო საქმიანობის ძირითად ადგილს აეროდრომზე ან საფრენ მოედანზე და თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ ადგილს, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ხორციელდება სასწავლო საქმიანობის ძირითად ადგილას;

შენიშვნა: სდ უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა აეროდრომი ან საფრენი მოედანი, გარდა იმისა, რომელიც განსაზღვრულია როგორც სასწავლო საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ სდ დაადასტურებს, რომ ამ ადგილას ფლობს სასწავლო დანიშნულების მქონე შესაბამისი კლასის ზსხ-ს, სწავლებისთვის სათანადო შენობა-ნაგებობებს, ასევე მატერიალურ, ტექნიკურ და პედაგოგიურ რესურსს.

ბ) სასწავლო საქმიანობისთვის სდ ფლობს შესაბამისი კლასის ზსხ-ს, სწავლებისთვის შესაფერის ინფრასტრუქტურას, ასევე მატერიალურ, ტექნიკურ და პედაგოგიურ რესურსს;

გ) სდ-ის დანიშნული ჰყავს სწავლების ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში – სათანადო რაოდენობის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ზსხ-ის შესაბამის კლასზე, რომელზეც ხორციელდება მომზადება, სდ-ის ჰყავს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი, რომელიც ფლობს ამ წესის 23-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

ე) სააგენტოში წარმოდგენილია ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლების მიმდინარე სია, სადაც მოცემულია ჩანაწერები მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით;

ვ) სააგენტოში შესათანხმებლად სდ-ის წარმოდგენილი აქვს საწყისი მომზადების პროგრამა, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრული სტანდარტიზებული კურსის მოთხოვნებს.

შენიშვნა 1: ზსხ-ის თითოეული კლასისთვის განსაზღვრული მომზადების პროგრამა უნდა

შეესაბამებოდეს ამ წესის №16 დანართში განსაზღვრულ მიზნებს, ხოლო ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების სასწავლო პროგრამის შინაარსი განისაზღვრება ამ წესის №30 დანართით. ცოდნის განახლების კურსის პროგრამა უნდა იყოს ადაპტირებული ზსხ-ის შესაბამისი კლასისთვის.

შენიშვნა 2: ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის საწყისი მომზადების პროგრამასთან ერთად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ინსტრუქტორის შემდგომი მომზადების პროგრამა, ამ წესის შესაბამისად.

ზ) სდ-ის დადგენილი აქვს თითოეული ინსტრუქტორობის კანდიდატის მომზადების პერიოდში, ცოდნის შემოწმების და სწავლების პროგრესის ამსახველი ინდივიდუალური სასწავლო ჩანაწერების წარმოებისა და განახლების მეთოდები, რომლებიც ინახება სდ-ის მიერ ამ წესის 32-ე მუხლის შესაბამისად.

3. სდ-ის საქმიანობის ფარგლები განისაზღვრება სდ-ის სერტიფიკატითა და მისი დანართით.

4. სდ-ის სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ და ძალაშია ვიდრე სდ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 27. სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის ცვლილება

1. სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის შემადგენელი შემდეგი ძირითადი მონაცემების ცვლილება საჭიროებს სააგენტოს წინასწარ თანხმობას:

ა) სდ-ის დასახელება;

ბ) სდ-ის სასწავლო საქმიანობის ძირითადი ადგილის მისამართი;

გ) სწავლების ხელმძღვანელი და არსებობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლ(ებ)ის სახელი და გვარი;

დ) თეორიული სწავლებისთვის გამოყენებული ადგილი, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ხორციელდება სასწავლო საქმიანობის ძირითად ადგილას;

ე) ზსხ-ის კლასების შესაბამისად მოსამზადებელი კურსების ჩამონათვალი;

ვ) ზსხ-ის კლასების შესაბამისად მოსამზადებელი პროგრამის დამატება, გაუქმება ან ცვლილება.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სდ სააგენტოს მიმართავს განცხადებით და წარუდგენს ამ წესის №24 დანართს.

2. სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის შემადგენელი შემდეგი მონაცემების ცვლილებისას საჭიროა განხორციელდეს სდ-ის მიერ სააგენტოსთვის შეტყობინება:

ა) გამოყენებული ზსხ-ების ჩამონათვალი;

ბ) ზსხ-ის აღჭურვილობასთან დაკავშირებული ცვლილებები.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 28. სდ-ის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, აღდგენა, გაუქმება და დუბლიკატის გაცემა

1. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ სდ ვეღარ აკმაყოფილებს სერტიფიცირების მოთხოვნებს ან მისი საქმიანობა, ქმედება ან გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები წარმოქმნის რისკებს ფრენის უსაფრთხოებისთვის, სააგენტო არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით უფლებამოსილია:

ა) ნაწილობრივ ან სრულად შეზღუდოს სდ-ის სერტიფიკატის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა;

ბ) შეაჩეროს სდ-ის სერტიფიკატის მოქმედება, სათანადო გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარებამდე, თუ შექმნილია საგანგებო ვითარება და საფრთხე ექმნება ფრენის უსაფრთხოებას.

2. სდ-ის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება, სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველის მითითებით, წერილობით ეცნობება სდ-ის.

3. სდ-ის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერება ხორციელდება დარღვევების აღმოფხვრამდე, მაგრამ სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან არაუმეტეს 3 თვით.

4. სდ-ის სერტიფიკატის მოქმედება განახლდება სააგენტოს გადაწყვეტილებით, სერტიფიკატის მფლობელის განცხადების საფუძველზე, თუ სააგენტო დარწმუნდება, რომ ნაკლოვანება, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, აღმოფხვრილია.

5. სდ-ის სერტიფიკატის გაუქმების საფუძვლებია:

ა) სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ სერტიფიკატის მფლობელი ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველს;

ბ) სერტიფიკატის მფლობელის მოთხოვნა;

გ) სერტიფიკატის მფლობელის ლიკვიდაცია;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

6. სერტიფიკატის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, სდ უფლებამოსილია, მიმართოს სააგენტოს სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემის მიზნით. დუბლიკატი გაიცემა სერტიფიკატის მფლობელის განცხადების სააგენტოში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. სერტიფიკატის დაზიანების შემთხვევაში სერტიფიკატის მფლობელმა სააგენტოს უნდა დაუბრუნოს დაზიანებული დოკუმენტი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 29. სდ-ის პერსონალი

1. სდ-ის სწავლების ხელმძღვანელის ფუნქციების შესასრულებლად პირი უნდა ფლობდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის უფლებამოსილებას ამ წესის შესაბამისად.

2. სდ-ის სწავლების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სდ-ის ფარგლებში განხორციელებულ მომზადებაზე და სდ-ის ინსტრუქტორების საქმიანობაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ წესით განსაზღვრული საწყისი და შემდგომი მომზადების პროგრამების სწორად განხორციელება.

3. სდ-ის სწავლების ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა შესაძლებელია შეასრულოს მოვალეობის შემსრულებელმა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 30. სდ-ის სასწავლო პროგრამები

1. სააგენტო ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადების პროგრამების შესაბამისობას ამოწმებს სდ-ის სერტიფიკატის პირველად გაცემისას და ორგანიზაციის მიერ პროგრამაში ცვლილების განხორციელებამდე.

2. ზსხ-ის პილოტის კურსანტი ინსტრუქტორების და ინსტრუქტორობის კანდიდატების საწყისი სწავლება და პედაგოგიური მომზადება უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-8 თავით განსაზღვრული

პროგრამით და უნდა დასტურდებოდეს სწავლების ჩანაწერებით.

3. სდ-ის უნდა გააჩნდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების კურსის შინაარსი და საკონტროლო ფრენის პროცედურა ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით ამ წესის 22-ე მუხლის შესაბამისად.

4. დამატებითი მომზადების პირობები, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების ან/და ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციაში ზსხ-ის ახალი კლასის დამატების მიზნით განისაზღვრება ამ წესის მე-9 თავის შესაბამისად.

5. ზსხ-ის ნებისმიერი კლასისთვის განკუთვნილი მომზადება უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-8 თავით განსაზღვრულ პედაგოგიურ მიზნებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 31. სდ-ის საქმიანობაზე ზედამხედველობა

1. სდ-ის საქმიანობის ინსპექტირების მიზანია დადგინდეს შესაბამისობა იმ ტექნიკურ, პედაგოგიურ, მატერიალურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან, რომლის საფუძველზეც გაიცა სდ-ის სერტიფიკატი.

2. სდ-ის საქმიანობის ზედამხედველობა ხორციელდება სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს №166 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის“ შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

თავი VIII

ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის საწყისი მომზადების პროგრამა

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 32. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადების ბარათი

1. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადების ბარათის შინაარსი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) მომზადების დაწყებამდე გავლილ საფრენოსნო და სახმელეთო შეფასებას;

ბ) საწყისი მომზადების დასრულებისას გავლილ შეფასებას;

გ) გავლილ გაკვეთილებს, რომელიც უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: გაკვეთილის აღწერა, ხანგრძლივობა, მეტეოროლოგიური ინფორმაცია და მასწავლებლის დეტალური შეფასება კურსანტი ინსტრუქტორის პროგრესთან დაკავშირებით;

დ) მომზადების დასრულებისას დასკვნით კომპეტენციის შეფასებას ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად, მათ შორის, დამატებითი მომზადების პროგრამას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მომზადების ბარათი წარმოადგენს სდ-ის საკუთრებას. სდ ინახავს მომზადების ბარათს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კურსანტი ინსტრუქტორი ან ინსტრუქტორობის კანდიდატი მომზადების პერიოდში შეიცვლის სდ-ის, მისი მომზადების ბარათის ასლი უნდა გადაეცეს ახალ სდ-ის.

3. კურსანტი ინსტრუქტორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაეცნოს საკუთარი მომზადების ბარათს.

4. მოთხოვნის შემთხვევაში, მომზადების ბარათი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის.

5. სდ-მ თითოეული მომზადების ბარათი უნდა შეინახოს არანაკლებ 5 წლის ვადით.

6. ჩანაწერები შესაძლებელია ინახებოდეს ელექტრონული და/ან მატერიალური ფორმით, ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათი ერთიანობის დარღვევას, დაკარგვას, დაზიანებას, განადგურებას ან ცვლილებას.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 33. შეთანხმებული სასწავლო პროგრამის სტრუქტურა

1. კურსანტ ინსტრუქტორის საწყისი მომზადების პირობები:

ა) საწყისი მომზადება უნდა განხორციელდეს ამ წესის დანართების №20-№23 შესაბამისად, ზსხ-ის კლასის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს თეორიულ (საკლასო სწავლება) და პრაქტიკულ (საფრენოსნო მომზადება) ნაწილებს და რომლის მიზანია კურსანტ ინსტრუქტორს შესძინოს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

ბ) თეორიული სწავლების საათების მინიმალური რაოდენობაა – 50 სთ.

გ) საფრენოსნო პრაქტიკული მომზადების საათების მინიმალური რაოდენობაა – 25 სთ.

დ) საწყისი მომზადების პერიოდის ხანგრძლივობა მიმდევრობით არ უნდა იყოს 5 კვირაზე ნაკლები.

2. საწყისი მომზადების დასრულების შემდგომ სდ გასცემს კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადების დასრულების დასტურს ამ წესის №18 დანართის შესაბამისად, რის შემდეგაც პირი დაიშვება კომპეტენციის შეფასებაზე.

3. საწყისი მომზადების დასრულებისას კომპეტენციის შეფასების პირობები:

ა) კურსანტ ინსტრუქტორმა საწყისი მომზადების დასრულებისას უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება;

ბ) საწყისი მომზადების დასრულების შემდგომი კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ამ წესის 37-ე მუხლის შესაბამისად.

გ) იმ შემთხვევაში, თუ კურსანტ ინსტრუქტორი გაივლის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ შეფასებას, მას მიენიჭება ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსი.

4. საწყისი მომზადების დაწყების თარიღიდან კურსანტ ინსტრუქტორს აქვს 18-თვიანი ვადა, რათა მომზადების დასრულებისას გაიაროს კომპეტენციის შეფასება ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

5. კურსანტ ინსტრუქტორის ინსტრუქტორობის კანდიდატად შეყვანასთან დაკავშირებით სდ სააგენტოს უგზავნის განცხადებას ამ წესის №29 დანართის შესაბამისად, რომლის, სააგენტოს მიერ, დადასტურებით პირი იღებს ინსტრუქტორობის კანდიდატის საქმიანობის უფლებას.

6. ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადების პირობები:

ა) ინსტრუქტორობის კანდიდატი ზსხ-ის პილოტ-კურსანტს ხმელეთზე უტარებს თეორიულ სწავლებას, რაც საჭიროა ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად საერთო თეორიული ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის მისაღებად. გარდა ამისა, კანდიდატი ზსხ-ის პილოტ-კურსანტს უტარებს არანაკლებ 20 სთ-იან საფრენოსნო პრაქტიკულ მომზადებას.

ბ) ინსტრუქტორობის კანდიდატმა უნდა მოამზადოს არანაკლებ ერთი ზსხ-ის პილოტ-კურსანტი დამოუკიდებლად ფრენის შესრულების ეტაპამდე, რაც უნდა დამოწმდეს სწავლების ხელმძღვანელის მიერ.

გ) ინსტრუქტორობის კანდიდატი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ პედაგოგიურ მომზადებას ახორციელებს იმ სდ-ში, სადაც მან მოიპოვა ინსტრუქტორობის კანდიდატის საქმიანობის უფლება, ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლის და სდ-ის სწავლების ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

7. პედაგოგიური მომზადების დასრულების შემდეგ კომპეტენციის შეფასების პირობები:

ა) პედაგოგიური მომზადების დასრულების შემდეგ ინსტრუქტორობის კანდიდატი ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად გადის კომპეტენციის შეფასებას. კომპეტენციის შეფასების განსახორციელებლად საჭიროა:

ა.ა) სწავლების ხელმძღვანელის რეკომენდაცია ამ წესის 34-ე მუხლის შესაბამისად;

ა.ბ) გამომცდელის შერჩევა ამ 35-ე მუხლის შესაბამისად;

ა.გ) ზსხ-ის შერჩევა ამ წესის 36-ე მუხლის შესაბამისად;

ა.დ) კომპეტენციის შეფასების განხორციელება ამ წესის 37-ე მუხლის შესაბამისად;

ა.ე) კომპეტენციის შეფასების შედეგის მომზადება ამ წესის 38-ე მუხლის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 34. სწავლების ხელმძღვანელის რეკომენდაცია

1. კომპეტენციის შეფასებამდე ინსტრუქტორობის კანდიდატი გადის გასაუბრებას სდ-ის სწავლების ხელმძღვანელთან, რა დროსაც მოწმდება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადების ბარათი, რათა დადგინდეს, რომ ინსტრუქტორობის კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად შეასრულა და აითვისა მომზადების სხვადასხვა ნაწილი.

2. გასაუბრების გავლის შემთხვევაში სწავლების ხელმძღვანელი ინსტრუქტორობის კანდიდატის მომზადების დასრულებას ამოწმებს ხელმოწერით, რითაც ადასტურებს კანდიდატის მზაობას კომპეტენციის შეფასების გასავლელად.

შენიშვნა: პედაგოგიური მომზადების დასრულების შემდგომ სდ გასცემს ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადების დასრულების დასტურს ამ წესის №19 დანართის, ასევე ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადების დასრულების დასტურს ამ წესის №28 დანართის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 35. გამომცდელის შერჩევა

1. კომპეტენციის შეფასება შესაძლებელია ასევე განხორციელდეს იმ სდ-ში დასაქმებული გამომცდელის მიერ, სადაც ინსტრუქტორობის კანდიდატმა გაიარა მომზადება, ამ წესის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირობის დაცვით.

2. სდ უფლებამოსილია გამომცდელი შეარჩიოს სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამომცდელების სიიდან.

3. კომპეტენციის შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე გამომცდელმა სააგენტოს წერილობით უნდა შეატყობინოს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით კომპეტენციის შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს სწავლების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული მომზადების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: პედაგოგიური მომზადების დასრულების შემდეგ ინსტრუქტორობის კანდიდატის

კომპეტენციის შეფასების რეგისტრაციის ფორმა, ამ წესის №27 დანართის შესაბამისად, ივსება სდ-ის მიერ და ეგზავნება სააგენტოს დასადასტურებლად. კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სააგენტოს დასტურის შემდეგ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 36. ზსხ-ის შერჩევა

კომპეტენციის შეფასება უნდა განხორციელდეს იმ ზსხ-ზე, რომელიც გამოიყენებოდა ინსტრუქტორობის კანდიდატის მომზადების განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზსხ არ არის ხელმისაწვდომი, კანდიდატმა, შეფასების დაწყებამდე უნდა შეასრულოს გაცნობითი ფრენა იმავე კლასის ზსხ-ს სხვა მოდელზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 37. კომპეტენციის შეფასების განხორციელება

კომპეტენციის შეფასება შედგება ორი ნაწილისგან, კერძოდ:

ა) თეორიული საკლასო სავარჯიშო იმ საკითხზე, რომელსაც კურსანტ ინსტრუქტორს/ ინსტრუქტორობის კანდიდატს გამომცდელი აცნობებს შეფასებამდე 8 კალენდარული დღით ადრე. კურსანტ ინსტრუქტორს/ინსტრუქტორობის კანდიდატს შეფასებისთვის მოსამზადებლად აქვს 1 სთ, რომლის შემდეგ მან უნდა ჩაატაროს 30 წუთიანი გაკვეთილი (პრეზენტაცია);

ბ) პრაქტიკულ სავარჯიშო ფრენა ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის რანგში, იმ საკითხზე, რომელსაც გამომცდელი კურსანტ ინსტრუქტორს/ინსტრუქტორობის კანდიდატს აცნობებს შეფასებამდე 8 კალენდარული დღით ადრე და რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ბ.ა) ფრენისწინა შემოწმება ინსტრუქტორის რანგში – გრძელდება არანაკლებ 15 წთ;

ბ.ბ) გაფრენისწინა ინსტრუქტაჟი – გრძელდება არანაკლებ 15 წთ;

ბ.გ) ფრენა ინსტრუქტორის რანგში სასწავლო სავარჯიშოების შესასრულებლად – გრძელდება არანაკლებ 30 წთ;

ბ.დ) ფრენისშემდგომი ინსტრუქტაჟი ხმელეთზე – გრძელდება არანაკლებ 15 წთ.

შენიშვნა: კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ამ წესის №26 დანართის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 38. კომპეტენციის შეფასების შედეგი

1. გამომცდელი ამზადებს კომპეტენციის შეფასების ფორმას და ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის მომზადების ბარათში შეაქვს ჩანაწერი შეფასების შედეგთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუქტორობის კანდიდატი ვერ გაივლის კომპეტენციის შეფასებას მან უნდა გაიაროს დამატებითი მომზადება, რომელიც მოიცავს პროგრესის პერიოდულ შემოწმებას. აღნიშნული დამატებითი მომზადების მოცულობა – თეორიული და/ან პრაქტიკული განისაზღვრება სწავლების ხელმძღვანელის მიერ ინსტრუქტორობის კანდიდატის საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც გამომცდელის მიერ იქნა მითითებული ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის მომზადების ბარათში. დამატებითი მომზადების დასრულების შემდეგ სწავლების ხელმძღვანელმა განმეორებით უნდა გაუწიოს რეკომენდაცია ინსტრუქტორობის კანდიდატს კომპეტენციის შეფასების გავლის მიზნით.

3. პირმა ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსის მიღების თარიღიდან 18 თვის ვადაში უნდა გაიაროს კომპეტენციის შეფასება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების მიზნით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუქტორობის კანდიდატი სტატუსის მიღების თარიღიდან 18 თვის ვადაში

ვერ გაივლის კომპეტენციის შეფასებას იგი კარგავს ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსს.

5. ინსტრუქტორობის კანდიდატის სტატუსის დაკარგვის შემდეგ ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების მიზნით, კომპეტენციის შეფასებაზე დასაშვებად საჭიროა:

ა) საწყისი სწავლების დასრულებისას განსაზღვრული კომპეტენციის შეფასების გავლა;

ბ) ინსტრუქტორობის კანდიდატის სრული პედაგოგიური მომზადების გავლა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

თავი IX

სხ-ის ფრენის ინსტრუქტორის დამატებითი მომზადება

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 39. რეგულირების სფერო

ეს თავი ადგენს სხ-ის ფრენის ინსტრუქტორების დამატებითი მომზადების მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღება ან/და ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციაში ზსხ-ის ახალი კლასის დამატება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 40. ზოგადი მოთხოვნები

1. იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ან ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (ANNEX 1 – PERSONNEL LISENSING) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოწმობას ფრენის ინსტრუქტორის მოქმედი ოსტატობით, ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მიღების მიზნით უნდა გაიაროს დამატებითი მომზადება სდ-ში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მოწმობა გაცემულია უცხო სახელმწიფოს მიერ სააგენტო წარმოდგენილი მოწმობის ნამდვილობას, მასში არსებულ მონაცემებს ამოწმებს დოკუმენტის გამცემი შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ საავიაციო ხელისუფლებასთან.

2. ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორმა კვალიფიკაციაში ზსხ-ს ახალი კლასის მისაღებად უნდა გაიაროს დამატებითი მომზადება სდ-ში.

შენიშვნა: დამატებითი მომზადების გავლის დასტური სდ-ის მიერ გაიცემა ამ წესის №17 დანართის შესაბამისად.

3. დამატებითი მომზადების დასრულების შემდეგ პირის კვალიფიკაცია დასტურდება გამომცდელთან კომპეტენციის შეფასების ჩაბარებით.

შენიშვნა 1: კომპეტენციის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს იმ გამომცდელის მიერ, რომელიც არ არის დასაქმებული იმ სდ-ში, სადაც განხორციელდა დამატებითი მომზადება, იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ სდ-ის არ აქვს აღნიშნულის რესურსი.

შენიშვნა 2: კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ამ წესის №26 დანართის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.

მუხლი 41. დამატებითი მომზადების მიზნები და მოცულობა

1. პირმა, რომელიც ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30

აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ან ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (ANNEX 1 – PERSONNEL LISENSING) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის ფრენის ინსტრუქტორის კვალიფიკაციას, სდ-ში უნდა გაიაროს ზსხ-სთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები, რომლებიც უკავშირდება ზსხ-ის ინერციულობას და მართვადობას, ასევე ფრენის დაწყებამდე საჭირო შემოწმებებს.

2. პირი, რომელიც ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ან ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (ANNEX 1 – PERSONNEL LISENSING) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის ფრენის ინსტრუქტორის კვალიფიკაციას ან ახორციელებს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციაში ზსხ-ის ახალი კლასის დამატებას, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) აქვს საჭირო უნარ-ჩვევები, ფრენის განსხვავებული ეტაპების ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ძრავის მტყუნების შემთხვევაში და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზსხ უახლოვდება დადგენილი საფრენოსნო შესაძლებლობების დიაგრამის შეზღუდვებს, უზრუნველყოს ფრენის უსაფრთხოება;

ბ) აქვს კომპეტენცია, უსაფრთხოდ განახორციელოს ძრავის მტყუნების იმიტირება, საფრენოსნო შესაძლებლობების დიაგრამით განსაზღვრულ შეზღუდვებთან მიახლოების ამოცნობის (იდენტიფიცირების) სწავლების მიზნით.

3. დამატებითი სწავლების მოცულობა, ზსხ-ის კლასების მიხედვით, მოიცავს:

ა) ზსხ-ის 1-ელი, მე-2 და მე-3 კლასების შემთხვევაში – არანაკლებ 10 სთ საფრენოსნო მომზადებას ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელთან ერთად შესაბამისი კლასის ზსხ-ზე.

ბ) ზსხ-ის მე-4 კლასის შემთხვევაში – არანაკლებ 20 სთ საფრენოსნო მომზადებას ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელთან ერთად მე-4 კლასის ზსხ-ზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 1 მაისის ბრძანება №83 - ვებგვერდი, 04.05.2026წ.